კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Art Studies
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი , 0213
ინგლისურად:	Bachelor of Art Studies, 0213
პროგრამის დამტკიცების თარიღი	კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება N01/01-78, 06.12.2024
პროგრამის განახლების თარიღი	-
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი	ხელმძღვანელი: ნანა შარიქაძე, აფილირიებული ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თანახელმძღვანელი: ეკატერინე კიკნაძე, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება N01/01-79, 06.12.2024
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 ECTS

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს.სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მზადება, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილი დრო).
ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:
პროგრამაში **120 ECTS კრედიტი** ეთმობა **ძირითადი სწავლის სფეროს** კომპონენტების შესწავლას, რომელიც მოიცავს ზოგადსახელოვნებო კომპეტენციის განმავითარებელ თეორიულ, ისტორიულ

საგნებს, რომელთა შორისაც დამყარებულია ლოგიკური, თანმიმდევრული და მიზეზშედეგობრივი კავშირი. სასწავლო კურსების მიმდევრობა დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტმა შეძლოს ცოდნის თანმიმდევრულად მიღება, როგორც ეპოქალური სტილების, ისე, კონკრეტული სტილის გამორჩეული წარმომადგენლის შემოქმედების, პრობლემაზე დაფუძნებული კურსის და ე.წ. შესავალი კურსების სახით. ამასთან, სასწავლო კურსებში აქტიურად არის ინტეგრირებული სასწავლო ვიზიტები ისტორიული ძეგლების მონახულების და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების ცოცხალ საექსპოზიციო სივრცეში დათვალიერების მიზნით როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ. კურიკულუმში **დარგობრივი სავალდებულო კურსები** (ჯამში **90 ECTS კრედიტი**) და **სავალდებულოდ ასარჩევი კურსები** (ჯამში **30 ECTS კრედიტი**) ერთმანეთთან დაკავშირებულია რელევანტური ეპოქებით და პრობლემებით. დარგობრივი სავალდებულო კურსებიდან **10 ECTS კრედიტი** ეთმობა **საბაკალავრო ნაშრომის** მომზადებას.

პროგრამაში **60 ECTS კრედიტი** ეთმობა **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით** სასწავლო კურსებს. კერძოდ:

28 ECTS კრედიტი ეთმობა **ზოგადსაუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს** - ეს კურსები ისეა აგებული, რომ სტუდენტს აძლევს ჰუმანიტარული განათლების საბაკალავრო საფეხურის ზოგად საფუძველს. ამასთან, სტუდენეტებს უნვითარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარებს: თანამედროვე რეალობაში ხელოვნებათმცოდნისთვის უმნიშნელოვანესია ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა. არა მარტო ოფისის, არამედ საიტის დამზადების და სხვა მიმართულებით; გათვალისწინებულია აგრეთვე ისეთი კურსები, როგორიცაა აკადემიური წერა და საჯარო გამოსვლის ტექნიკა, რომლებიც ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და წერის, და აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარებს.

20 ECTS კრედიტი ეთმობა **ინგლისურ ენას** - ასევე ხელოვნებათმცოდნისთვის უმნიშნელოვანესია მინიმუმ 1 უცხო ენის პროფესიულ დონეზე ფლობა, რისთვისაც 4 სემესტრი დათმობილი აქვს ინგლისურის შესწავლას. უცხო ენა სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს.

12 ECTS კრედიტი ეთმობა **თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს**, რომელთა შესწავლაც სტუდენტს გადასცემს სხვადასხვა მიმართულებით ცოდნას და აფართოებს მის თვალსაწიერს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია: 1. მოამზადოს ხელოვნების ისტორიის და თეორიის სპეციალისტები და შესძინოს მათ კომპლექსური ცოდნა მსოფლიო და ეროვნული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების თავისებურებების შესახებ; 2. შეასწავლოს ეროვნული და გლობალური კულტურული პროცესების კონტექსტი, მისცეს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი ცოდნა; განუვითაროს ხელოვნების ნიმუშების, სახელოვნებო პროცესების ანალიზის და კვლევის უნარი; 3. განუვითაროს პროფესიულ საკითხებზე მოსაზრებებისა და დასკვნების არგუმენტირებულად, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით წერითი/ზეპირი ფორმით დასაბუთების და სამიზნე აუდიტორიასთან შესაბამისი ტექნოლოგიებით ეფექტური კომუნიკაციის უნარი, აგრეთვე თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, რითაც პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მობილობისათვის, შრომის ბაზრის დაკომპლექტებას ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრებით.
პროგრამის სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება:** **შედეგი 1: აღწერს და განმარტავს ხელოვნებათმცოდნეობის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ძირითად თეორიებსა და პრინციპებს, არჩევს მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო, საკვანძო საკითხებს, განასხვავებს ხელოვნების ისტორიის განვითარების ისტორიულ ეტაპებს და ხსნის შემოქმედებითი ფიგურების ინდივიდუალობას.** **ინდიკატორები:** - მსჯელობს, განარჩევს, განიხილავს და განავრცობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეპოქებს ხელოვნებაში, სტილისტურ მიმდინარეობებს და ეროვნულ სკოლებს; - აღწერს და იდენტიფიცირებას უკეთებს ხელოვნების განვითარების პროცესებს, ხსნის და ინტერპრეტირებს არტისტული გამოხატვის მრავალფეროვან ფორმებს უძველესი დროიდან უახლესამდე; - იყენებს ხელოვნებათმცოდნეობის აღნიშნული მიმართულების კვლევის შედეგებს, მსჯელობს და წერილობით გადმოსცემს ძირითად სამეცნიერო საკითხებს; - გამოკვეთს ხელოვნების მხატვრულ-ესთეტიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, ისტორიულ-შემეცნებით პროცესებს და ხსნის მათ გავლენას ეპოქალური სტილის თუ ინდივიდუალური გამოხატვის ფორმებზე; - მიმოიხილავს ხელოვნებათმცოდნეობით კვლევებს და აყალიბებს სპეციფიკურად სახელოვნებო ისტორიისა და თეორიის პრობლემებს. **შედეგი 2: ხსნის და მსჯელობს ეროვნული და გლობალური კულტურული პროცესების კონტექსტზე, განაზოგადებს და ადგენს ხელოვნების მომიჯნავე და ინტერდისციპლინურ კავშირებს, მიმოიხილავს არტისტული გამოხატვის მრავალფეროვან ფორმებს, ახდენს მათ ინტერპრეტირებას.** **ინდიკატორები:** - განაზოგადებს და ადგენს ხელოვნების სხვადასხვა სფეროს ურთიერთკავშირს და ხელოვნების მომიჯნავე დისციპლინების საფუძვლებს; აყალიბებს და არჩევს, ხელოვნების ისტორიის და მასთან

	დაკავშირებულ ინტერდისციპლინური საკითხებს; - ავლენს ხელოვნების ისტორიის ცალკეული მიმართულებების, სტილის, ჟანრის, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ეროვნულისა და გლობალურის, კავშირებისა და მემკვიდრეობითობითობის საკითხების საბაზისო და სისტემურ ცოდნას; აგრეთვე აკავშირებს და უპირისპირებს ხელოვნების ისტორიის ხსვადასხვა მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს; - ავლენს ხელოვნების ნიმუშების, ინდივიდუალური და ეპოქალური სტილების კვლევისა და შეფასების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის აუცილებელ საბაზისო ცოდნას და წერილობით გადმოსცემს ძირითად სამეცნიერო საკითხებს; - მსჯელობს ეროვნული და გლობალური ხელოვნების ისტორიის ძირითად სამეცნიერო საკითხებზე, მთავარ ტენდენციებზე, ეროვნული და გლობალური კულტურული პროცესების ურთიერთმიმართებასა და თავისებურებზე (პრეისტორიული ხანიდან ვიდრე თანამედროვეობამდე - ევროპა, აზია, აშშ, საქართველო) და გამოკვეთს მათი განვითარების საკვანძო ეტაპებს; - აღწერს და განაზოგადებს ქართული ხელოვნების ისტორიის მიმართებას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, და განავრცობს და აჯამებს მათ. **უნარი:** **შედეგი 3: აკავშირებს ხელოვნებისა და ზოგადი ჰუმანტარული საგნების შესწავლის შედეგად მიღებულ თეორიულ ცოდნას, იცნობს კვლევით მეთოდოლოგიებს და სტრატეგიებს და პრაქტიკაში იყენებს მათ.** **ინდიკატორები:** - გამოკვეთს და აანალიზებს პრობლემას, აყალიბებს შესაბამის დასკვნას; გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს მრავალფეროვანი ზეპირი და წერილობითი ფორმით; - გამოყოფს კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, ანალიტიკური დამუშავების საფეხურებს; იყენებს კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სიღრმისეული ანალიზის სტრატეგიებს; - ხელოვნების ისტორიაში და თეორიაში მიმდინარე პროცესების, ფაქტების, ინდივიდუალური სახელოვნებო ნიმუშების ან აქტების ანალიზისას არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს და აფიქსირებს საკუთარ თვალსაზრისს ისტორიული მონაცემების კვლევის აუცილებელი, საბაზისო ცოდნის საფუძველზე; - არჩევს სხვადასხვა ტიპის ხელოვნების ნიმუშებს და სტილებს, ახარისხებს მათ, პოულობს ფართე ჰუმანიტარულ და ინტერდისციპლინურ კონტექსტს, რის შედეგადაც შეისწავლის და წარმოადგენს კომპლექსურ სურათს; - აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად წერს შესაბამის ნაშრომებს (რეფერატები, საბაკალავრო ნაშრომი და სხვა); - ამჟღავნებს და ახდენს თეორიული ცოდნის დემონსტრირებას და იყენებს მას სხვადასხვა ფორმით - კვლევით, სასწავლო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში. **შედეგი 4: პოულობს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის სხვადასხვა ფორმას, შესაბამისი რეალიზების გზას და ფლობს აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს.** **ინდიკატორები:** - ანალიზის საფუძველზე, გამოყოფს და გადაამუშავებს ამოცანების ან პრობლემების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას; ახდენს კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას. აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს; - აკეთებს პრეზენტაციებს ჯგუფურად და ინდივიდუალურად, ამზადებს გამოფენის კონცეფციებს და სხვადასხვა ფორმატებს, ირჩევს და პოულობს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და მათი რეალიზების გზებს; ფლობს აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს;

	- იცნობს საპრეზენტაციო და საჯარო გამოსვლების წესებს, ეთიკას და იყენებს მათ პრაქტიკაში. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** **შედეგი 5: პასუხს სცემს ზოგად ისტორიულ, ჰუმანიტარულ და სახელოვნებო პროცესებთან დაკავშირებულ მნიშნელოვან კითხვებს პროფესიული ეთიკის დაცვით.** **ინდიკატორები:** - მსჯელობს და პატივს სცემს განსხვავებულ კულტურათა ღირებულებებსა და წეს-ჩვეულებებს; იჩენს ტოლერანტულობას განსხვავებული მორალური ნორმებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ; - შემწყნარებლობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს მნიშვნელოვან მოვლენებს ხელოვნების ისტორიაში; - განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს საისტორიო წყაროებში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს; - ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების, პროფესიული ეთიკის და კოლეგიალობის ნორმების დაცვით. **შედეგი 6: აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ასრულებს სხვადასხვა მასშტაბის ნაშრომს (ესე და ა.შ.), მათ შორის საბაკალავრო ნაშრომს; იყენებს შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიას.** **ინდიკატორები:** - სრულყოფს და წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის აქტივობის (ტექსტის აგების, გამოფენის კონცეფციის) ინდივიდუალურ პრაქტიკას და არჩევს მათი დემონსტრირების ფორმებს. ამოწმებს და იცავს ლიტერატურის ციტირებისა და პლაგიატის თავიდან არიდების ნორმებს, აგრეთვე ითვალისწინებს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში; - იაზრებს სხვდასხვა კვლევით მეთოდოლოგიების, მეთოდოლოგიური მიდგომების მნიშვნელობას, ღებულობს რაციონალური გადაწყვეტილებას და ირჩევს მეთოდოლოგიას საკვლევი საკითხიდან გამომდინარე; - ახერხებს ინტერდისციპლინარულ სასწავლო-სამეცნიერო თუ სამუშაო გარემოში თვითდამკვიდრებას, შეძენილი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზებას, დამოუკიდებლად მოქმედებას, საკუთარი პირადი თუ პროფესიული განვითარების რაციონალურად დაგეგმვასა და მასზე პასუხისმგებლობის აღებას; - განსაზღვრავს და იყენებს ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიულ-შემოქმედებით დაწესებულებებში, როგორიცაა: - მუზეუმები და გალერეები - ტელევიზია - რადიო - შემოქმედებითი ინდუსტროები - ონლაინ მედია - სახლემწიფო დაწესებულეები (სამინისტრო, მუნიციპალიტეტი) - გამომცემლობები - freelancer, - არასამთავრობო ორგანიზაციები - ფონდები - საერთშორისო ორგანიზაციები - self-entrepraise, antrepreneur, ფრილანსერი - სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები: ონლაინ არტ გალერეები და პლატფორმები (SSAtchi Art, Etsy), საგანმანათლებლო პლატფორმები (Udemy,

	Coursera, Skillshare), Digital art comissions (Upwork, Fiverr), Youtube, Instagram, TikTok, Virtual exhibitions and NFTS (Non-Fungible Tokens) for blockchain-based platforms for Open Sea, Rarible
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგეგმილია სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ე.წ. სასწავლო ტურები მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, მემორანდუმის ფარგლებში არსებულ მუზეუმში, როგორც საქართველოში ისე საფრანგეთში (ორსე, ლუვრი). სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და მოიცავენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სწავლების ელექტრონული ფორმატი დადგენილი წესების შესაბამისად.

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
			ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო)	**10**	**5**	**4**		**4**	**5**	**28**
1.	CSC 1161	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5						**5**
2.	ACWR 0007	არ აქვს	აკადემიური წერა	5						**5**
3.	CSC 1260	CSC 1161	საინფორმაციო ტექნოლოგიები - Excell , 3 D		5					**5**
4.	PST 2160	არ აქვს	მეტყველება და საჯარო გამოსვლის ტექნიკა			4				**4**
5.	MYTH 3160	არ აქვს	მითოლოგია					4		**4**
6.	HIST 0003	არ აქვს	საქართველოს ისტორია						5	**5**
			ინგლისური ენა (სავალდებულო)	**5**	**5**	**5**	**5**			**20**
7.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ აქვს	B1.0/B2.0 ზოგადი ინგლისური ენა	5						
8.	ENGL 0006/	ENGL 0005/	B1/B2 ზოგადი ინგლისური ენა		5					

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
	ENGL 0008	ENGL 0007								
9.	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 /C1.0 ზოგადი ინგლისური			5				
10.	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2/C1 ზოგადი ინგლისური				5			
			დარგობრივი სავალდებულო	**12**	**12**	**14**	**16**	**16**	**20**	**90**
11.	ART 1160	არ გააჩნია	ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნების ისტორია	4						4
12.	ART 1161	არ გააჩნია	ქართული ხელოვნების ისტორია - პრექრისტიანულიდან შუა საუკუნეების ჩათვლით	4						4
13.	ART 1162	არ გააჩნია	პრეისტორიული ხანის და ძველი აღმოსავლეთის ქეყნების ხელოვნების ისტორია	4						4
14.	RMS 1260	არ გააჩნია	კვლევის მეთოდოლოგია და სტრატეგიები		4					4
15.	ART 1260	ART 1160	ევროპული სახვითი ხელოვნების ისტორია - რენესანსი		4					4
16.	ART 1261	არ გააჩნია	ექსპოზიციის ხელოვნება და საგამოფენო პროექტი		4					4
17.	ART 2160	არ გააჩნია	კულტურული მემკვიდრეობის თეორიის შესავალი: მნიშვნელობა, დაცვა და პრევენცია			5				5
18.	ART 2161	არ გააჩნია	ევროპული სახვითი ხელოვნების ისტორია მე-17 საუკუნიდან 19 საუკუნის მე-2 ნახევრამდე			4				4
19.	ART 2162	არ გააჩნია	ქართული არქიტექტურის ისტორია - მე19-20 სს			5				5
20.	ART 2260	არ გააჩნია	ამბის თხრობა (სამეცნიერო-პოპულაური კომუნიკაცია კულტურული მემკვიდრეობის მკვლევართათვის)				4			4
21.	ART 2261	არ გააჩნია	ქართული სახვითი ხელოვნების ისტორია 1801-1953 წწ.				4			4

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
22.	ART 2262	არ გააჩნია	ევროპული სახვითი ხელოვნების ისტორია იმპრესიონიზმიდან მეორე მსოფლიო ომამდე				4			4
23.	ART 2263	არ გააჩნია	საბჭოთა ხელოვნება				4			4
24.	ART 3160	არ გააჩნია	მსოფლიო კინოს ისტორია: თვითორგანიზებული სადისკუსიო ფორმატის სეანსები, მნიშვნელოვანი თემები და ნამუშევრები					4		4
25.	ART 3161	არ გააჩნია	მხოფლიო ხელოვნების ისტორია: პოსტმოდერნული ხელოვნება					4		4
26.	ART 3162	არ გააჩნია	1950-1980-იანი წლების ქართული სახვითი ხელოვნება					4		4
27.	ART 3163	არ გააჩნია	ფოტოგრაფიის ისტორიისა და თეორიის ძირითადი საკითხები					4		4
28.	ART 3260	არ გააჩნია	ურბანიზაცია და ურბანული პრობლემების ანალიზი						5	5
29.	ART 3261	არ გააჩნია	უახლესი ტენდენციები თანამედროვე და ვიზუალურ ხელოვნებაში						5	5
30.	THES 3260	ACWR 0007 RMS 1260	საბაკალავრო ნაშრომი						10	10
			დარგობრივი სავალდებულო-არჩევითი ეპოქასთან მიმართებით	3	**3**	**3**	**6**	**6**		**21**
31.	ART 1163	არ გააჩნია	ხელნაწერი წიგნის ისტორია, პრევენციული კონსერვაციის საფუძვლები	3						3
32.	ART 1164	არ გააჩნია	ქართული ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო	3						
33.	ART 1165	არ გააჩნია	ქართული ხატწერის ისტორია	3						

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
34.	ART 1262	არ გააჩნია	სტილის ევოლუცია პროტორენესანსიდან - მარიერიზმამდე ჯოტო დი ბონდონეს, დომინიკო გირლანდაიოს, ლეონარდო და ვინჩის და მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯოს შემოქმედების მიხედვით		3					3
35.	ART 1263	არ გააჩნია	ჩრდილოევროპული რენესანსის ძირითადი მხატვრული ტენდენციები იან ვან ეიკის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახი უფროსის და პეტერ ბრეიგელის მაგალითზე		3					
36.	ART 2163	ART 1261	ბაროკო: სტილის ევოლუცია ელ გრეკოს, კარავაჯოს, ველასკესის, რუბენსის, რემბრანდტის შემოქმედების მიხედვით			3				3
37.	ART 2164	ART 1261	ფრანგული მხატვრობა კლასიციზმიდან - სატირულ რეალიზმამდე (დომინიკ ენგრის, ეჟენ დელაკრუას, კამილ კოროს და ონორე დომიეს შემოქმედების მიხედვით)			3				
38.	ART 2264	ART 1261	მოდერნიზმი: პიკასო, კანდინსი, მატისი, შაგალი - ფერი, ხაზი, სხვა რეალობა და მოდერნისტული კონცეფციები							3
39.	ART 2265	ART 1261	აბსტრაქცია - ახალი პერსპექტივა (ვასილი კანდინსკის, პიტ მონდრიანის, კაზიმირ მალევიჩის და ჯოან მიროს შემოქმედების მიხედვით)				3			

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
40.	ART 2266	ART 1261	იმპრესონიზმი მეთოდი, ევოლუცია, გავლენა							
41.	ART 2267	ART 1261	ფიროსმანაშვილიდან სოციალისტურ რეალიზმამდე (ფიროსმანაშვილის, გიგო გაბაშვილის, დავით კაკაბაძის, ირაკლი თოიძის, უჩა ჯაფარიძისა და სერგო ქობულაძის შემოქმედების მიხედვით)				3			3
42.	ART 2268	ART 1261	ქართული სახვითი ხელოვნება იმპერიულიდან სოც რეალისტურამდე: ხრინევსკი, ნიკოლაძე, დავით კაკაბაძე							
43.	ART 3164	ART 1261	პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში							
44.	ART 3165	ART 1261	XX საუკუნის II ნახევრის ოფიციალური და არაოფიციალური ქართული სახვითი ხელოვნება					3		3
45.	ART 3166	ART 1261	პოსტმოდერნული ხელოვნება - აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი					3		3
46.	ART 3167	ART 1261	პოსტმოდერნული ხელოვნება - პოპარტი							
			დარგობროვრივი სავალდებულო-არჩევითი პრობლემასთან მიმართებით					**4**	**5**	**9**
47.	ART 3168	არ გააჩნია	მსოფლიო არქიტექტურის ისტორია					4		4
48.	ART 3169	არ გააჩნია	გენდერი და ხელოვნება					4		4
49.	ART 3262	არ გააჩნია	ციფრული მარკეტინგი						5	5
50.	ART 3263	არ გააჩნია	ციფრული ხელოვნება						5	5

№	სასწავლო კურსის კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	ECTS კრედიტი						
				I		II		III		
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
51.	ART 3264	არ გააჩნია	ნაციზმის პერიოდის ხელოვნება						5	5
			თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები		**5**	**4**	**3**			**12**
52.	CA 1260	არ გააჩნია	კლასიკური ანთროპოლოგია		5					
53.	PHIL 1260	არ გააჩნია	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები		5					
54.	WREL 1261	არ გააჩნია	მსოფლიო რელიგიების ისტორია		5					
55.	SA 1260	არ გააჩნია	ხელოვნების სოციოლოგია		5					
56.	HIST 0001	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია		5					
57.	ENTP 0009	არ გააჩნია	მეწარმეობა			4				
58.	WTH 2160	არ გააჩნია	მსოფლიო თეატრის ისტორია			4				
59.	MA 2160	არ გააჩნია	მუსიკა ხელოვნების კონტექსტში			4				
60.	LIT 2165	არ გააჩნია	ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის პროცესის კონტექსტში			4				
61.	ARMN 2260	არ გააჩნია	ხელოვნების მენეჯმენტი				3			
62.	MCVA 2260	არ გააჩნია	17-19 ს. მუსიკალური კულტურა და სახვითი ხელოვნება				3			
		ECTS კრედიტები	**სემესტრში**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	